



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია  
G E O R G I A  
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ24.24212225

თარიღი:10/08/2021

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციის ხელშეწყობის მიზნით ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის ჩამოყალიბების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N67 განკარგულების, „სოფლად მცხოვრები მოსახლეობის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 აგვისტოს N1368 განკარგულების და „საქართველოს შოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე, 61-ე და 63-ე მუხლების საფუძველზე,

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას ვაქცინაციის ოპერატიული შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

- კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელი;

- ბესიკ ჭეჟია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე;

- ნანა ოდიშარია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის დირექტორი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- მარინე წულეისკირი - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ზუგდიდის რაიონული სამსახურის მენეჯერი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- ვახტანგ კუკავა - შპს „ზუგდიდის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- ოთარ შენგელია - შპს „იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკის“ დირექტორი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- დავით შონია - აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა , რუხის ფილიალის დირექტორი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- ნიკოლოზ ჭეჟია - სს "ევექსის ჰოსპიტლები" - ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალის დირექტორი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- ნანა ზარქუა - სს "ევექსის კლინიკები"-ზუგდიდის პოლიკლინიკის დირექტორი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- თენგიზ შანავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

- ნინო სხულუხია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის წევრი;

2. ვაქცინაციის ოპერატიულმა შტაბმა უზრუნველყოს:

- მოსახლეობის ვაქცინაციის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის შერჩევა და შეთანხმება ცენტრსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ-სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან;

- ასაცრელი კონტიგენტის მობილიზება და მოწვევა ვაქცინაციისთვის;

- საჭიროების შემთხვევაში, ასაცრელი პირების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;

- კორონავირუსის (COVID 19) საწინააღმდეგო იმუნიზაციის სამოქმედო გეგმის შედგენა და დავალებების განაწილება;

- საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ადგილზე ასაცრელად სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული გამსვლელი ბრიგადების ჩამოყალიბება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

3. მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებმა უზრუნველყონ:

- ვაქცინაციის ლოკაციებზე შესაბამისი ვაქცინებით მომარაგება და ცივი ჯაჭვის მონიტორინგი;

- ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს, ამცრელ ბრიგადასა და ასაცრელ კონტიგენტს შორის კოორდინაცია.

4. მერის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფლის ექიმებთან ერთად განახორციელონ მოსახლეობის ინფორმირება ვაქცინაციასთან დაკავშირებით და ოპერატიულ შტაბს წარუდგინონ მონაცემები კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ჩატარების მსურველების რაოდენობის შესახებ.

5. ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა განახორციელოს ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ.

6. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 03 აგვისტოს №24.242121511 ბრძანება „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გაფართოების პრევენციის მიზნით ვაქცინაციასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. N12).

კონსტანტინე კაკავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

